საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3742
19/05/2023

3742-21-2-202305191757

შპს „კომპლექტ სერვიზს“
მის: ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის №3
ელ. ფოსტა: Salukvadzeakaki83@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3351 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის №3-ში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან 15 მეტრში განთავსებულია შპს „ბეთლემი 2011“-ის, 40 მეტრში - შპს „დარ კაპიტალის“, 55 მეტრში - შპს „რასებეტონის“, ხოლო 60 მეტრში შპს „ალიკას“ კუთვნილი საწარმოები. ამასთან, მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში ასევე მდებარეობს სხვადასხვა საწარმოო ობიექტები, მათ შორის 140 მეტრში - შპს „ზუგოს“, 190 მეტრში შპს - „გზას“ და შპს „ტრანსკავკასიის კრისტალის“, 330 მეტრში - შპს „ზიმო-7“-ის, ხოლო 360 მეტრში - სს „მეტრო ქონსთრაქშენის“ კუთვნილი საწარმოები. აღნიშნულის გათვალისწინებით, დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ (500 მეტრიან რადიუსში) არსებული თითოეული საწარმოს ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაციას (სიტუაციურ რუკაზე დატანით). აგრეთვე, მსგავსი პროფილის საწარმოების შემთხვევაში, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მათი ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ისე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით;

- დოკუმენტში განხილული არ არის საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შეწონილი ნაწილაკებით მოსალოდნელი დაბინძურების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო